# არასასურველი ქცევის კორექტირება

დღეს სასკოლო საზოგადოებსთვის არ არის უცხო სსსმ მოსწავლეებთან ურთიერთობა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით სკოლებში დიდი ხანია მუშაობს სპეციალური პედაგოგები, რომლებიც ეხმარებიან მასწავლებლებს კონკრეტული მოსწავლის ქცევასთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარებაში.

მეც ერთ-ერთი რიგითი პედაგოგი, რომელიც ვასწავლი სოფლის სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას, წლების განმავლობაში ვიყავი სპეციალური მასწავლებელი, ვაკვირდებოდი და ვსაწავლობდი სსსმ მოსწავლეთა ქცევას, ვეხმარებოდი მათ ქცევის კორექტირებაში, ამიტომ თავს უფლებას ვაძლევ მოგცეთ რამდენიმე რჩევა და რეკომენდაცია, არასასურველი ქვცევის კორექციაზე სასკოლო ასაკის ბავშვებში. შევეცადე ყველასათვის გასაგებ ენაზე პუნქტებად ჩამომეყალიბებინა საკუთარი გამოცდილება და მომეტანა თქვენამდე.

მოსწავლის სახელი, გვარი მ. ს.

ასაკი - 11 წელი

კლასი - მეხუთე

I საფეხური არასასურველი ქცევების ჩამონათვალი:

1.ჭამს გაკვეთილზე;
2.გაკვეთილის მსვლელობისას დგება, მიდის სხვის მერხთან, თანაკლასელებს ხელს უშლის მუშაობაში (უხურავს ან უშლის წიგნს, რვეულს, ართმევს კალამს, ელაპარაკება);
3.ადგომისას ხელს ჰკრავს , გადაადგილებს მაგიდას , სკამს, იწვევს ხმაურს;
4.დადის საკლასო ოთახში, დარბის ან ეძახის მასწავლებელს; გადის საკლასო ოთახიდან

**II საფეხური: სასურველი ქცევის განსაზღვრა**

მათე მშვიდად ზის თავის მერხთან გაკვეთილის მსვლელობის დროს, ერთვება საგაკვეთილო აქტივობებში, ასრულებს მასწავლებლის მიერ მიცემულ დავალებას, გაკვეთილის ბოლომდე რჩება საკლასო ოთახში, საჭიროების შემთხვევაში ხელის აწევით ანიშნებს მასწავლებელს, ასრულებს მასწავლებლის ინსტრუქციას, მონაწილეობს ჯგუფურ მუშაობაში (ილუსტრაციიდან ჭრის საჭირო დეტალს, აწებებს აქტივობის შინაარსით გათვალისწინებულ ადგილზე), აფერადებს კონტურში შესრულებულ ნახატს.

**III საფეხური: არასასურველი ქცევის გაზომვა**

დაკვირვება მოხდა შემდეგ გაკვეთილებზე: ქართული ენა და ლიტერატურა, ბუნება, მათემატიკა, ინგლისური, სპორტი.
პირველი დღე, ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილი:
არასასურველი ქცევის სიხშირე- 4-ჯერ 45 წუთის განმავლობაში;
ხანგრძლივობა 1-2 წუთი;
ინტენსივობა: იწყებს დაბალი ინტენსივობით, აგრძელებს ხმამაღლა.
დაახლოებით იგივე სიტუაცია მეორდება სხვა საგნების გაკვეთილებზეც (გარდა სპორტისა)

**IV საფეხური : ქცევის კონტექსტი-როდის, რა პირობებში ვლინდება არასასურველი ქცევა?**

1.1. არასასურველი ქცევა ვლინდება გაკვეთილის მსვლელობის დროს, როცა მასწავლებელი დაასრულებს საშინაო დავალების შემოწმებას და იწყებს ახალი მასალის ახსნას. იგი მათესაც აძლევს დავალებას, რომელიც მან ჯგუფთან ერთად , ან ინდივიდუალურად უნდა შეასრულოს (გამოჭრა, ჩაწებება, კონტურების გაფერადება, სიდიდის, ან სახეობის მიხედვით ფიგურების დალაგება და სხვა).
1.2.არასასურველი ქცევა ვლინდება შინ, ოჯახში, როცა ბებია ცდილობს ამეცადინოს.
1.3.სადილის, ან ვახშმის დროს, როცა მამა ავალებს, მშვიდად იჯდეს მაგიდასთან

**2.როდის, რა პირობებში არ ვლინდება არასასურველი ქცევა?.**

არასასურველი ქცევა არ ვლინდება შესვენებებზე, სპორტის გაკვეთილზე, გზაში, ტრანსპორტში, მოკლე დროით სტუმრად ყოფნისას.(ბებიამ მითხრა, რომ იგი სიამოვნებით უყურებს ტელეგადაცემას, ერთვება მეზობელი ბავშვების თამაშში).
არ ვლინდება მაშინაც, თუ მასწავლებელი არაფერს დაავალებს, მაგრამ იქნება მის მერხთან ახლოს...

**3. რა მოვლენები უსწრებს წინ არასასურველ ქცევას?**

გაკვეთილის მსვლელობისას მასწავლებლის მიერ მათესთვის საკლასო სამუშაოს მიცემა, აქტივობაში ჩაბმის მცდელობა, კონკრეტული ინსტრუქციის გამეორება, აქტივობისთვის გამოყოფილი დროის დასახელება(5 წუთი, 7 წუთი...).

**4.არასასურველი ქცევა წინ უსწრებს რაიმე ქცევას, თუ მასთან ერთად ვლინდება?**

არასასურველი ქცევა ვლინდება დავალების შესრულებისას. უფრო ზუსტად: მასწავ-ლებლის მოთხოვნაზე, რომ დაიწყოს მუშაობა, მათე პასუხობს არასასურველი ქცევით.

**5.რა ფაქტორები შეიძლება ახდენდნენ გავლენას ქცევის გამოწვევაზე, ან მის შენარჩუნებაზე ?**

5.1. სკოლასთან ახლოს მუშაობს მათეს ბებია,რომელიც ყოველთვის ანებივრებს მას. ბავშვს გარეთ ყოფნა ურჩევნია, რადგანაც იქ ეგულება ბებია ,რომელსაც არ შეუძლია უარი უთხრას შვილიშვილს ტკბილეულის თხოვნაზე. გაკვეთილიდან უნებართვოდ გამოსულს, ბებია ეზოში დაახვედრებს რაიმე ნუგბარს.

5.2. მათეს არა აქვს დავალების შესრულების უნარ-ჩვევები.

5.3.მათეს ყველა სურვილს უსრულებენ, ოჯახის წევრები ანგარიშს უწევენ, ცდილობენ, არ ანერვიულო ( გასაგები მიზეზების გამო).

**V საფეხური: ქცევის ფუნქცია. რა მოთხოვნების დაკმაყოფილებას ემსახურება ქცევა?**

**ყურადღების მიქცევა** მათეს უნდა , მასწავლებლის და მოსწავლეების ყურადღება მიიქციოს.

**მატერიალური** ტკბილეულის მიღება

**თავის არიდება** მათე თავს არიდებს დავალების შესრულებას.

**VI საფეხური: განმამტკიცებლის შერჩევა**

**ა. მატერიალური**

**ბ. სოციალური**

**განმამტკიცებლის მიღების ფორმა: უშუალო, გადაცვლითი, გადავადებული**

მასწავლებელი უხსნის მათეს, თუ იგი არ დაარღვევს ქცევის წესებს (ანუ, აღარ გაიმეორებს თავის არასასურველ ქცევას გაკვეთილების პერიოდში),დღის ბოლოს იგი მიიღებს 1ცალ სტიკერს წითელი მანქანის სურათით. თუ 5 დღეში მოაგროვებს 5 ცალ სტიკერს, კვირის ბოლოს გადაცვლის პატარა სათამაშო მანქანაზე.

თუ მათე მონაწილეობას მიიღებს ჯგუფურ მუშაობაში, შეასრულებს მასწავლებლის ინსტრუქციას, მასწავლებელი მეორე კვირის ბოლოს დაუმატებს 1ცალ ოქროსფერ სტიკერს მზის გამოსახულებით..

მეორე კვირაში შეგროვებულ 6ცალ ( 5წითელი, 1 ოქროსფერი) სტიკერს მათე გადაცვლის 1ცალ განსხვავებული ფერის სათამაშო მანქანაზე.

მესამე და მეოთხე კვირის განმავლობაში მათე აგროვებს სულ 4 ცალ სტიკერს (კვირაში1ც. წითელს - ქცევის წესების შესრულებისათვის და 1ც. ოქროსფერს-

.საგაკვეთილო აქტივობებში მონაწილეობისათვის). თავის 4ც. სტიკერს მათე  გადაცვლის 1ც. ბოლო სათამაშო მანქანაზე, რომელიც განსხვავდება წინა ორისაგან. მას უკვე აქვს პატარა კოლექცია.

**სოციალური განმამტკიცებელი:** მეხუთე კვირიდან, ყოველი დღის ბოლოს მასწავლებელი  მათეს (თუ იგი გააგრძელებს პირობის შესრულებას, არ დაარღვევს შეთანხმებას), საშინაო დავალების რვეულში თავისი ხელით ჩაუხატავს გაცინებულ მზეს. 5 ასეთი „მზის“ შემდეგ მასწავლებელი გადასცემს კვირის გმირის „სერთიფიკატს“, ხოლო თვის ბოლოს  თვის გმირის „სერთიფიკატს“, რომელშიც აღნიშნული იქნება,რისთვის გაიცა ის. მაგ“ ქცევის წესების შესრულებისა და ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობისათვის“.მომდევნო პერიოდში მასწავლებელი შესაფერის დროს კონკრეტული აქტივობის შესრულებისათვის შეაქებს  მათეს: მორიგეობა, ყვავილების მორწყვა ,სუფთად შესრულებული დავალება,ქცევის წესების დაცვა და სხვა.

**VII  საფეხური: არასასურველი ქცევის ჩაქრობის სტრატეგია**

**მოლაპარაკება**

მასწავლებელი ესაუბრება მათეს  შესაძლო ექსკურსიის შესახებ, რომელიც კლასმა უნდა დაიმსახუროს,  თუ მათე შეეცდება „გვერდით დაუდგეს“ თანაკლასელებს, კვლავ შეასრულებს მასწავლებლის ინსტრუქციებს, დაიცავს ქცევის წესებს, ბავშვები ახალი, კრიალა მიკრო ავტობუსით გაემგზავრებიან ბათუმში, ულამაზეს ზღვისპირა  ქალაქში, სადაც უამრავი საინტერესო და სახალისო გასართობი ელოდებათ.

მასწავლებელი მომხიბლავ ფერებში უხატავს მათეს  ზღვაზე ნავით გასეირნებას, ატრაქციონებზე  თავბრუდამხვევ ტრიალს, აკვარიუმისა და დელფინარიუმის საოცარ სამყაროს...

**VIII საფეხური: განმამტკიცებლის შემცირება**

**რაოდენობრივი:**  სულ მათემ მიიღო  15 ცალი  სტიკერი, ,რომლებიც გადაცვალა 3 ცალ პატარა  სათამაშო მანქანაზე:
პირველ 5დღეში - 5ც სტიკერი  ქცევის წესების შესრულებისათვის, რომელიც გადაცვალა ცვლის 1ცალ  სათამაშო  მანქანაზე;
მეორე 5 დღეში,  თუმცა ერთით  მოიმატა სტიკერების რაოდენობამ, მაგრამ ამას აქვს თავისი გამართლება - მათე, როგორც წინა კვირაში, ქცევის წესების შესრულებისათვის იღებს 5ცალ  სტიკერს, მაგრამ ამას ემატება  მისთვის  მოტივაციის გაზრდის ჩანაფიქრი, რაც საკლასო აქტივობებში მონაწილეობისათვის დამატებული 1ც.ოქროსფერი სტიკერით გამოიხატა. ის მიღებულ  სტიკერებს სხვა მოდელის სათამაშო მანქანაზე ცვლის.

მესამე და მეოთხე კვირის განმავლობაში მათე  აგროვებს სულ 4ცალ სტიკერს (კვირაში1ც. წითელს - ქცევის წესების შესრულებისათვის  და 1ც. ოქროსფერს- .საგაკვეთილო აქტივობებში მონაწილეობისათვის). თავის 4ც. სტიკერს იგი  გადაცვლის 1ც. ბოლო სათამაშო მანქანაზე, რომელიც განსხვავდება წინა ორისაგან. მას უკვე აქვს პატარა კოლექცია.

**თვისობრივი:**

  მასწავლებელი  მატერიალურ განმამტკიცებელს ცვლის სოციალურით, როცა მათეს საშინაო დავალების  რვეულში უხატავს მზეს. იზრდება მოსწავლის მოტივაცია.

მათე  აგრძელებს  ქცევის წესების დაცვას, აქტივობებში მონაწილეობას, საშინაო დავალების რვეულში  იმატებს  მზის „ღიმილები“ და  იგი  ჯერ კვირის , ხოლო შემდეგ თვის გმირის „სერთიფიკატის“  მფლობელი ხდება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მათემ  გააცნობიერა , რატომ გადაეცა მას ეს ჯილდო. მასწავლებელი  აღნიშნავს მოსწავლის წინსვლას კონკრეტულ აქტივობებში, რაც მოსწავლეს  უმაღლებს თვითშეფასებას და უზრდის მოტივაციას.

ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაში, რთული ქცევის მქონე ბავშვთან , ამგვარმა მიდგომამ ნამდვილად გაამართლა, მე მას დავეხმარე საკლასო  საზოგადოებასთან ინტეგრირებაში, განუვითრე სასწავლო პროცესში ჩართვის უნარ-ჩვევა.(ჯგუფურ მუშაობაში ჩართულობის უნარი).

მათე დღეს ერთი რიგითი მოსწავლეა, რომელიც უმაღლეს შეფასებას ვერ იღებს გაკვეთილებზე, მაგრამ კარგი მეგობარია და ყოველთვის ხალისით ერთვება სასკოლო ცხოვრებაში.

ლეილა ნიკოლაიშვილი

სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.